



DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაიროთიანება

DWV-ს ბიზნეს ბიულეტენი

თებერვალი 2020

გამოგვევით სოციალურ მედიაში



facebook.com/dwv.ge



linkedin.com/company/dwvge

ბიზნეს მოთხოვნები საქართველოდან

თუ დაინტერესებული ხართ გერმანული პარტნიორის მოძიებით, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი მოთხოვნა თქვენთვის სასურველ პროდუქციაზე ინგლისურ ან გერმანულ ენაზე და თან დაურთოთ დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია. დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: zaira.soloeva@dwv.ge

ექსპორტ-იმპორტის დაფინანსება

კომერციული დაფინანსება გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG-სგან

გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG გთავაზობთ არასაბანკო დაფინანსების ახალ მოდელს, რომელიც საშუალებას გაძლევთ მიიღოთ **ბანკებისგან დამოუკიდებელი დაფინანსება** განსხვავებული პირობებით როგორცაა მუდმივი საკრედიტო ხაზი, ნაწილობრივი დაფინანსება, ერთჯერადი კრედიტი და სხვა. დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ: zaira.soloeva@dwv.ge

DEG ბანკი აფინანსებს ექსპორტს გერმანიიდან საქართველოში

გერმანული ინვესტიციისა და განვითარების საზოგადოება (DEG, www.deginvest.de) 50 წელზე მეტია

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

აფინანსებს ექსპორტსა და ინვესტიციებს გერმანიიდან საქართველოსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში. იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება გერმანულ პროდუქტს. DEG ბანკი იძლევა გრძელვადიან კაპიტალს ბაზარზე არსებული პირობებით და კონსულტაციას უწევს კომპანიებს პროექტის ყველა ფაზაში. DEG აფინანსებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, აგრარულ, ინდუსტრიულ და საფინანსო სექტორში. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდით: info@dwv.ge

ზოგადი ინფორმაცია გერმანიაში პროდუქციის იმპორტის შესახებ

გერმანიის ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან რეგულირდება საგარეო ვაჭრობის აქტით, საგარეო ვაჭრობის რეგულაციით, ევროპის საბჭოსა და კომისიის ლეგალური აქტებით. განსხვავებები დამოკიდებულია პროდუქციის სახეობაზე და ვაჭრობაზე სხვა ევროკავშირის ქვეყნებთან (შიდა ბაზარი) და მესამე ქვეყნებთან.

მესამე ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის დროს, მნიშვნელოვანია სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვები:

- იმპორტის სატარიფო შეზღუდვები გამომდინარეობს საბაჟო (კანონმდებლობიდან) და მოიცავს საბაჟო გადასახადს იმპორტირებულ საქონელზე.
- არასატარიფო შეზღუდვები შეიძლება გამომდინარეობდეს საგარეო ვაჭრობის კანონიდან ან სხვა ლეგალური წყაროებიდან.

იმპორტის შეზღუდვების საგარეო ვაჭრობის კანონი მოიცავს აკრძალვებს (მაგ. ემბარგო), ავტორიზაციის მოთხოვნას (მაგ. იმპორტის ავტორიზაციის მოთხოვნა გარკვეულ ტექსტილზე) და მონიტორინგის ზომებს (მაგ. დოკუმენტების მონიტორინგი რკინისა და ფოლადის პროდუქციის იმპორტის დროს).

საქონელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის კანონის მიხედვით ექვემდებარება ავტორიზაციას და მონიტორინგს, ასევე გარკვეულ პროცედურულ მოთხოვნებს, ჩამოთვლილია იმპორტის სიაში. ეს სია ინტეგრირებულია ელექტრონული საბაჟო ტარიფების სისტემაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: <http://trade.ec.europa.eu/tradehelp/>





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაიროთიანება

ევროკომისიის ექსპორტის საკითხებში დახმარების პროგრამის ახალი ვერსია განვითარებადი ქვეყნებისთვის (Trade Helpdesk)

ევროკომისიამ ექსპორტის საკითხებში დახმარების ახალი ვერსია შეიმუშავა. ეს უფასო ონლაინ მომსახურება ძალიან მარტივად ხსნის განვითარებადი ქვეყნებისათვის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობებს. მხოლოდ რამდენიმე ღილაკზე დაჭერით, თქვენთვის ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაცია სხვადასხვა პროდუქტზე ევროკავშირის მოთხოვნილებების, გადასახადების, ტარიფების, შეღავათების, წესებისა და სტატისტიკის შესახებ. იხილეთ დამატებითი ინფორმაცია: [EU Neighbourhood Info](#)

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV & Cteam Training: სტრატეგიული დაგეგმარება, ანუ როგორ მოვიპოვოთ კონკურენტული უპირატესობა?!

კონკურენტული გარემოს გამძაფრებასთან ერთად ბიზნესის სტრატეგიული დაგეგმარება უფრო და უფრო კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს ქართული კომპანიებისთვის. ამ გამოწვევას ამძაფრებს ის ფაქტორიც, რომ საქართველოში გარე ფაქტორები, რომლებიც კომპანიაზე მოქმედებენ, ხშირად დინამიურად და მოულოდნელად იცვლებიან. შესაბამისად მნიშვნელოვანია კომპანიამ დასვას კითხვა, თუ რისი მიღწევა უნდათ უახლოესი 2-3 წლის მანძილზე და მოემზადოს სხვადასხვა შესაძლო სცენარებისთვის.

ტრენინგის მიზანია მონაწილეები საფუძვლიანად გაეცნონ სტრატეგიული დაგეგმარების ძირითად პრინციპებსა და კონცეფციებს. ტრენინგის ფარგლებში მოხდება პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება, თუ როგორ ახდენენ გერმანული კომპანიები სტრატეგიის ფორმულირებასა, დანერგვას. ტრენერი ასევე ისაუბრებს იმ გამოწვევებზე რაც ხშირად იჩენს თავს ამ მიმართულებით ქართულ ბიზნეს სექტორში.

დაწვრილებით იხილეთ [აქ](#).

**რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge**

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

DWV-ს „Get together“ ღონისძიება



გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მომდევნო „Get together“ ღონისძიება ჩატარდება **2020 წლის 18**

მარტს 18 საათიდან, სასტუმრო Biltmore-ში, Sonnet Restaurant & Bar-ში.

„Get together“ ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების როგორც წევრი, ასევე არაწევრი ორგანიზაციების გერმანულად მოსაუბრე წარმომადგენლები. ღონისძიება იმართება ყოველთვიურად. მოხარული ვიქნებით თქვენი ხილვით! დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: zaira.soloeva@dwv.ge

DWV-ს წევრთა გენერალური ასამბლეა

26 მარტს გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება ეპატიყება თავის წევრებს გეგმიურ ყოველწლიურ ასამბლეაზე.

დეტალები იხილეთ [აქ](#).

კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ ზაირა სოლოევას: zaira.soloeva@dwv.ge.

საერთაშორისო გამოფენა - Automechanika Istanbul

2020 წლის 2-5 აპრილს, Messe Frankfurt ქალაქ სტამბულში მართავს საერთაშორისო გამოფენას Automechanika Istanbul 2020.

დამთვალიერებელს შანსი ეძლევა გაეცნოს ინოვაციებსა და ახალ შესაძლებლობებს ავტომობილებისა და სარემონტო მომსახურების სფეროში.

საერთაშორისო გამოფენა Automechanika Istanbul არის ცენტრალური პლატფორმა ახალი კონტაქტებისათვის. აქ ბიზნეს პარტნიორობა, იდეები და წარმატება ხალხს აერთიანებს.

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაიროთიანება

გერმანიის ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტროს (BMWi) ბიზნეს დელეგაცია საქართველოში - ნარჩენების მართვა და რეციკლირება

2020 წლის 15 ივნისს გერმანიის ეკონომიკისა და ენერჯეტიკის სამინისტროს (BMWi) პროექტის ფარგლებში, Commit Project Partners-ი, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ორგანიზებას უწევს გერმანიიდან ბიზნეს დელეგაციის ვიზიტს საქართველოში. დელეგაციის ვიზიტის მთავარი თემა გახლავთ ნარჩენების მართვა და რეციკლირება.

დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია დარგობრივი საინფორმაციო ღონისძიებები და შეხვედრები შესაბამის სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებთან. ხუთდღიანი ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ, როგორც ზოგადი, ისე დარგობრივ-სპეციფიკური ინფორმაცია მიიღონ საქართველოში არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოების, ბაზარზე არსებული შანსების, სამომავლო თანამშრომლობის, ტექნიკური და ლოგისტიკური შესაძლებლობების, დამკვიდრებული პრაქტიკისა და კულტურული თავისებურებების შესახებ.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ [ბმულზე](#).

DWV-ს ახალი წევრები

DWV გულითადად მიესალმება მის ახალ წევრებს:

სრული წევრები:

Tiflis Textile
ტექსტილის წარმოება
www.tiflistex.com



Silk Hospitality (Hotel Radisson)
სასტუმრო, გასტრონომია
www.silkroadgroup.net



Exotour
ტურიზმი
www.exotour.travel



Loxx Logistics GmbH
ტრანსპორტი, ლოგისტიკა
www.loxx.de



ვიზიტორი წევრი:

Swiss Institute for Training and Coaching
ტრენინგი, კონსულტაციები

DWV-ს წევრებისა და პარტნიორების სიახლეები და ღონისძიებები

საქართველოში პირველი ზვავსაწინააღმდეგო სისტემა დაინერგა



პროექტს უზრუნველყოფს ქართული კომპანია „მაუნთინ რეზორტს სოლუშენს“ ფრანგულ კომპანია TAS-თან ერთად, რომელიც არის ლიდერი ზვავსაწინააღმდეგო სისტემების წარმოებაში, მონტაჟსა და მართვაში. პროექტი არის 3 წლიანი. მათ გადაამზადეს პროფესიონალები, შეიქმნა ზვავების მართვის სამოქმედო

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაიროთიანება

გეგმა, დამონტაჟდა ამინდის პროგნოზის ავტომატური სადგური და რადარი, სამთო მეზღვავეები აღიჭურვევენ საზღავე სპეც-ტექნიკით.

კონფერენციები, საგანმანათლებლო მასტერ კლასები. კვირეული დასრულდება უძრავი ქონების საინვესტიციო ტურებით.

ინსტა 22 წლისაა!



ამ დროის განმავლობაში ძალიან ბევრი საინტერესო პროექტი წარმატებით შესრულდა.

კომპანია კიდევ უფრო გაიზარდა:

- 160+ კვალიფიციური თანამშრომელი;
- 500-ზე მეტი წარმატებით შესრულებული პროექტი;
- ყველაზე დიდი ლოჯისტიკური ცენტრი ელექტროობის მიმართულებით საქრთველოში - 8000-ზე მეტი პოზიცია მარაგში;

გამოფენების ცენტრ ექსპოჯორჯიაში საქართველოში უძრავი ქონების პირველი საერთაშორისო კვირეულის ჩატარების თაობაზე ურთიერთ-თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა



ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს კვირეულის ორგანიზატორებმა: Property Georgia-ს მმართველმა პარტნიორმა ლიკა ქარდავამ, FIABCI-Georgia-ს პრეზიდენტმა

ქეთევან ტაბატაძემ და ExpoGeorgia-ს დირექტორმა რესან ქიქავამ, ასევე, კვირეულის თანაორგანიზატორმა - საქართველოს უძრავი ქონების ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარე მარიამ დემურამ და ბიზნესპარტნიორმა - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან ვეფხვაძემ უძრავი ქონების საერთაშორისო კვირეული, 2020 წლის 29 აპრილიდან 3 მაისამდე გაიმართება. კვირეული FIABCI-Georgia-ს Prix d'Excellence დაჯილდოებით გაიხსნება. ერთმანეთის პარალელურად გაიმართება საქართველოს უძრავი ქონების და მშენებლობის საერთაშორისო გამოფენები. ასევე, გამოფენის ფარგლებში ჩატარდება თემატური

ორიენტ ლოჯიკის წარმომადგენლები ბარსელონაში Cisco-ს ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძიებას Cisco Live-ს დაესწრნენ



ღონისძიებაზე კონკურსი გაიმართა, რომელშიც ათეულობით ტექნოლოგიებში დასაქმებული ჩაერთო. ერთ-ერთი გამარჯვებული ორიენტ ლოჯიკის თანამშრომელი ლევან ნიორაძე გახდა.

Cisco Live ყოველწლიურად ათასობით IT სპეციალისტებს აერთიანებს მსოფლიოს მასშტაბით. ღონისძიება უნიკალური საშუალებაა ერთდროულად ცოდნის გაღრმავებისა და ახალი კავშირების დასამყარებლად.

Nexia TA-ს მმართველი პარტნიორები დავით ლომიძე და გელა მღებრიშვილი Nexia International-ის მიერ ლონდონში ორგანიზებულ Technology Summit 2020 დაესწრნენ



სამიტი - ინიციატივების იდენტიფიცირებითა და სამომავლო გეგმის შემუშავებით - ციფრულ სფეროში მიღწევების გასაუმჯობესებელ პლატფორმას წარმოადგენს.

9-ზე მეტმა კომპანიამ მოახდინა თავისი განვითარების და გამოცდილების დემონსტრირება ანალიტიკის, RPA-ს, კომპიუტერული ხელოვნებისა და "ღრუბლოვანი გამოთვლების" (Cloud Computing) მიმართულებით.

სამიტზე სხვა შერჩეულ წევრ კომპანიებსაც მიეცათ შესაძლებლობა გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის დაგროვილი გამოცდილება. იდეების გენერირებისთვის და საერთო მიზნების მქონე წევრ კომპანიებს შორის თანამშრომლობის გასაადვილებლად ინტერაქტიული ღონისძიება ჩატარდა.

დამსწრე წევრებისა და, ზოგადად, მთლიანი Nexia-ს ქსელისთვის დროის და ხარჯების მენეჯმენტის საკითხების განხილვას ცალკე დრო დაეთმო.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

Mytalent.io-ს ვებინარი თემაზე: როგორ დავსაქმდეთ გერმანელ დამსაქმებელთან კარგი ანაზღაურებით

mytalent.io უფროსი HR ანა ინსარბე და გაყიდვების უფროსი რეგინა ვინთერი მოგეცემენ პრაქტიკულ რჩევებს და გაგაცნობენ საჭირო ხერხებს, თუ როგორ შეგიძლიათ საქართველოში დისტანციურად იმუშაოთ გერმანელ, ავსტრიელ ან შვეიცარიელ დამსაქმებლებთან. ვებინარის განმავლობაში შეგიძლიათ ექსპერტებს კითხვები დაუსვათ.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ.

ელემენტ კონსტრუქშენის დირექტორი ირაკლი შონია FORBES GEORGIA-ს პროექტის 30 Under 30 გამარჯვებულა!



პროექტის კონცეფცია სხვადასხვა სფეროში მოღვაწე, იმ 30 წლამდე ლიდერთა გამოვლენას გულისხმობს, რომლებიც მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმითა და ხედვით ხასიათდებიან. „Forbes 30 Under 30-ის გამარჯვებულები გამორჩეულად წარმატებული ახალგაზრდები არიან. ისინი თავიანთი ძალისხმევითა და ენთუზიაზმით აღწევენ წარმატებას და ჩვენი მომავლის ამინდს ქმნიან“, - აღნიშნეს ორგანიზატორებმა დაჯილდოვების ცერემონიაზე.

ირაკლი შონიას ხელმძღვანელობით სამშენებლო კომპანიამ არაერთი გამორჩეულად საინტერესო და წარმატებული პროექტი განახორციელა. პარალელურად, ირაკლი საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორია, არის 10-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი.

ორიენტ ლოჯისკის ღონისძიება "Red Hat Products Overview 2020"



ორიენტ ლოჯისკი საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებს სწრაფ და ინოვაციურ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებას Openshift-ს სთავაზობს. Openshift ამერიკული

კომპანია Red Hat-ის პროდუქტია და როგორც კონტეინერული სისტემა ისეა ცნობილი.

ღონისძიებაზე განხილული თემებია:

- Red Hat Openshift - The Kubernetes Platform for Big Ideas
- Introduction to Agile Integration
- Full Miffleware Picture
- API Management
- The Microservices
- The Intelligent Services
- Open Banking
- Agile Integration in practice: Fraud Management

აღნიშნულ ღონისძიების პრეზენტატორები არიან ორიენტ ლოჯისკის თანამშრომლები: ვანო ბერიძე და გიორგი ქორიძე, ასევე "Red Hat"-ის მოწვეული სპიკერი იტალიიდან - Luca Ferrari.

PwC საქართველოს საკონსულტაციო დეპარტამენტის ფარგლებში ახალ მომსახურებას ნერგავს



PwC საქართველო საკონსულტაციო დეპარტამენტის ფარგლებში ნერგავს ახალ მომსახურებას და ნიშნავს ანასტასია ანსვორტ-სმიტს, უფროს მენეჯერს, ფინანსური თაღლითობის გამოვლენის მომსახურების ხელმძღვანელად.

ანასტასია თავისი 12 წლიანი პროფესიული კარიერის განმავლობაში მუშაობდა საკონსულტაციო ფირმების დიდ ოთხეულში (BIG4) აუდიტის მიმართულებით. მან 7 წელი დაჰყო ავსტრალიაში, სადაც მომსახურებას უწევდა სხადასხვა ინდუსტრიაში მომუშავე მსხვილ, მულტინაციონალურ კომპანიებს.

PwC საქართველოს ფინანსური თაღლითობის გამოვლენის საკონსულტაციო მომსახურებაში შედის:

- თაღლითობის გამოძიება და პრევენცია
- დავებისა და სამართალწარმოების უზრუნველყოფა
- კორპორატიული დაზვერვა
- შესაბამისობა (ანტიკორუფციული და ფულის გათეთრება (AML))
- მონაცემთა ანალიზი

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საზაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაიროთიანება

Majorel Georgia გერმანულენოვან მოსწავლეებს ენის კურსებს დაუფინანსებს



მეიჯერელ საქართველოსთვის განათლება უცვლელ პრიორიტეტად რჩება და ახალი ინიციატივით ამჯერად გერმანული ენის

შემსწავლელი კურსის სტუდენტების წახალისებას გეგმავს. კომპანია მიმდინარე წელს თბილისსა და ქუთაისში, GDZ Georgien-ის 40 მოსწავლეს ნაწილობრივი სასწავლო გრანტით უზრუნველყოფს.

ვერბალური გამოცდისა და ტესტირების საფუძველზე შეირჩა ქართულ-გერმანული ცენტრის 40 წარჩინებული მოსწავლე, რომელთაც კომპანია 6 თვის განმავლობაში ნაწილობრივად დაუფინანსებს სწავლას. მსგავსი შერჩევითი ტესტირება და გრანტის გამოყოფა, პროექტის მიხედვით ყოველ ექვს თვეში იგეგმება.

Mytalent.io-ს გეპატიჟებათ Get together-ზე!



Mytalent.io-ს ორგანიზებული ქართულ-გერმანული Get together ჩატარდება 7 მარტს, Mytalent.io-ს ოფისში. მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. 2/2, თბილისი.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ აქ.

8 თებერვალს "ბიოლში" Nexia TA-ს მხარდაჭერით დისტრიბუციისა და ლოჯისტიკის 2020 წლის ფორუმი გაიმართა



სამიტი ფორუმი საქართველოში ლოჯისტიკური პრობლემების მოგვარებაზე მსჯელობას მიეძღვნა.

შეხვედრის მიზანს არაფორმალურ გარემოში დარგის წევრების გაცნობა და ერთმანეთისთვის სიახლეების გაზიარება წარმოადგენდა. შეხვედრაზე გამომსვლელებმა საქართველოს ლოჯისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბების პონტეციალსა და ამ პროცესში სახელმწიფოსა და კერძო სექტორების ჩართულობაზე ისაუბრეს.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

პროექტის აუდიტორული მომსახურება Nexia TA-მ განახორციელა.

კნაუფის სასწავლო ცენტრი ყველა მსურველს სთავაზობს უფასო კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებს



ტრენინგის მონაწილეები მიიღებენ ტექნიკურ და თეორიულ ცოდნას მშენებლობაში კნაუფის მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით და სხვა

მრავალ საკითხზე.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ აქ.

ორიენტ ლოჯიკი განაგრძობს მომავალი თაობის განვითარებაზე ზრუნვას



დღეს ორიენტ ლოჯიკსა და კინგსი საქართველოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის ფარგლებში ორიენტ ლოჯიკი საგანმანათლებლო პროცესებში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. კომპანიამ სპეციალურად კინგსის ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეებისთვის სტიპენდიები დააწესა.

ორიენტ ლოჯიკი სრულად აცნობიერებს ბიზნეს სექტორის ჩართულობის მნიშვნელობას მომავალი თაობის განვითარებაში და აქტიურად განაგრძობს ამ კუთხით მიმდინარე პროცესებში მონაწილეობას.

პროკრედიტ ბანკმა პლასტმასის ნარჩენების შემცირების კვარტალური ანგარიში გამოაქვეყნა



პროკრედიტ ბანკი საქართველო პლასტმასის ნარჩენების შესამცირებლად რამდენიმე მიმართულებით აქტიურად მუშაობს. ხუთ წელზე მეტია, რაც ბანკში დანერგილია ნარჩენების მართვის პოლიტიკა, რომლის ფარგლებშიც პლასტმასის ნივთების დახარისხება ხორციელდება, ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა შიდა მოხმარებაში მის ეტაპობრივად სრულ ჩანაცვლებას.





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მანძილზე ბანკში 250 კილოგრამამდე პლასტმასი შეგროვება და შემდგომ ნარჩენების მართვის კომპანიას გადაეცა.

პროგრედიტ ჯგუფის მიერ პლასტმასის პირდაპირი და არაპირდაპირი გამოყენების შემცირების პოლიტიკისა და სტრატეგიის, ასევე განხორციელებული აქტივობების შესახებ მოკლე ანგარიში შეგიძლიათ იხილოთ თანდართულ საინფორმაციო [ბროშურაში](#).

ინფორმაცია DWV-ზე

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) წარმოადგენს იმ ფირმათა საწევრო ორგანიზაციას, რომლებიც გერმანულ-ქართულ ურთიერთობებში აქტიურად არიან ჩაბმულნი. DWV 2007 წელს დაარსდა და დღეისათვის 180-ზე მეტ წევრს ითვლის.

DWV-ს მმართველ საბჭოს თავმჯდომარე არის დოქტორი საშა ტერნესი (შპს ბლუორჩარდ ფაინანს ეს.ეი). მმართველ საბჭოს ასევე მიეკუთვნებიან დავით შენგელია (კაპაროლ ჯორჯია), გიორგი ბათლიძე (BLC იურიდიული კომპანია) მიხაელ ჰამპელი (ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია) და ანდრეას ჰაიდინგსფელდერი (შერატონ მეტეხი პალასი). გერმანიის საელჩო თბილისში DWV-ს მმართველი საბჭოს მრჩეველი წევრია. მმართველი საბჭოს საპატიო თავმჯდომარე არის გერმანელი მეწარმე, პროფ. დოქტ. კლაუს ჰიპი.

DWV-ს მიზანია ხელი შეუწყოს გერმანიასა და საქართველოს შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების დამყარებას და დაიცვას გერმანული ეკონომიკის ინტერესები საქართველოში. გარდა ამისა, DWV ემსახურება გერმანულ ფირმებს და აქტიურად ეხმარება მათ ქართულ ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებაში. გერმანული ფირმების გარდა, DWV ასევე მზად არის მოემსახუროს გერმანულენოვანი ქვეყნების ფირმებს, მაგალითად ავსტრიულსა და შვეიცარიულს. დაწვრილებითი ინფორმაცია ჩვენს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: www.dwv.ge

თუ გასურთ თქვენი ბიზნეს აქტივობების გაფართოვება საქართველოსა და გერმანიის ბაზარზე, ამ

მიმართულებით ჩვენ გთავაზობთ მრავალმხრივ მომსახურებას.

ჩვენი მომსახურების ჩამონათვალი:

- მისამართების მოძიება
- კონსულტაცია ბაზრის შესახებ
 - ბაზრის კვლევა
 - მისამართების მოძიება
 - ბიზნეს პარტნიორის მოძიება
 - ბიზნეს მეილინგი
- პერსონალი & ტრენინგი
 - სემინარები/ტრენინგები
 - პერსონალის მოძიება
- საოფისე მომსახურება
 - დროებითი პერსონალი
 - მთარგმნელობითი მომსახურება
 - მედიაცია
- დელეგაციები
- მესე ფრანკფურტი
- სენიორ ექსპერტთა სერვისი (SES)

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [აქ](#).

DWV - Messe Frankfurt-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და სომხეთში

Messe Frankfurt არის მსოფლიოს წამყვანი გამოფენების ორგანიზატორი. იგი სხვადასხვა ორგანიზაციებს გლობალური მასშტაბით შესაძლებლობას აძლევს წარადგინონ საკუთარი პროდუქცია და მომსახურება საერთაშორისო ბაზარზე. Messe Frankfurt ის ადგილია, სადაც მონაწილე კომპანიებს საშუალება ეძლევათ უშუალო კონტაქტი დაამყარონ პოტენციურ პარტნიორებთან.

DWV მხარს უჭერს Messe Frankfurt-ის ყველა გამოფენას და ეხმარება საქართველოსა და სომხეთის მოქალაქე გამოფენის მონაწილეებსა და ვიზიტორებს გამგზავრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

zaira.soloeva@dwv.ge

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: facebook.com/dwv.ge, LinkedIn: linkedin.com/company/dwvge

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •





DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
ბაერთიანება

SES პროექტი საქართველოში - გერმანელი ექსპერტები ქართული კომპანიების სამსახურში

Senior Expert Service (SES) წარმოადგენს გერმანიის ინდუსტრიისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდის პროექტს, რომელიც გერმანელ ექსპერტებს აგზავნის სხვადასხვა კომპანიებში კონსულტაციისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ექსპერტები წარმოადგენენ გამოცდილ სპეციალისტებს მრავალწლიანი სტაჟით, რომელთაც უკვე დაასრულეს თავიანთი სამსახურებრივი მოღვაწეობა, აქვთ კარგი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და ფლობენ უცხო ენებს. ექსპერტთა დახმარების მიღება შესაძლებელია 50 განსხვავებულ სფეროში. ისინი თავიანთ მომსახურებას სთავაზობენ მცირე და საშუალო საწარმოებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნეს ასოციაციებსა და ისეთ მომსახურების სექტორებს, როგორებიც არიან სოციალური და სამედიცინო ინსტიტუტები, სკოლები და ა.შ.

ექსპერტის მომსახურება გამოიხატება კომპანიების თანამშრომელთა კონსულტირებით. იგი არ ითავსებს მენეჯერულ ფუნქციებს. ექსპერტის აყვანა შესაძლებელია 3 კვირიდან 6 თვის ვადით. ექსპერტი მუშაობს უსასყიდლოდ, თუმცა მისი საცხოვრებლის, კვებისა და ტრანსპორტირების (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ) ხარჯებს, ასევე ადმინისტრაციულ ხარჯებს დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: maria.bregadze@dwv.ge

2019 წლის სექტემბრიდან გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება FRUIT LOGISTICA-ს ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში

FRUIT LOGISTICA წამყვანი საერთაშორისო გამოფენაა ხილისა და ბოსტნეულის სფეროში, სადაც აღნიშნული სექტორის მთელი სპექტრი და მონათესავე დარგებია წარმოდგენილი. ის 1993 წლიდან ეწყობა მესე ბერლინის მიერ და ყოველ წელს 3.000-ზე მეტ ექსპონენტსა და 76.000-ზე მეტ ვიზიტორს მასპინძლობს, რომელთაც FRUIT LOGISTICA-ს ფარგლებში კონტაქტების დამყარების უპრეცედენტო შესაძლებლობები იზიდავთ. როგორც Fresh Produce-ს ინდუსტრიის - როგორცაა ხილი და ბოსტნეული, ყველაზე დიდი გამოფენა, FRUIT LOGISTICA მესე ბერლინის საგამოფენო ტერიტორიაზე პუბლიკას

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@dwv.ge, ვებ-გვერდი: www.dwv.ge
Facebook: [facebook.com/dwv.ge](https://www.facebook.com/dwv.ge), LinkedIn: [linkedin.com/company/dwvge](https://www.linkedin.com/company/dwvge)

• საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის Messe Frankfurt-ის, FRUIT LOGISTICA-ს და სენიორ ექსპერტთა სერვისის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში •

სთავაზობს მისი ყველა საქმიანობის დარგისა და ბაზრის მონაწილეების გაცნობას. გარდა ამისა, ადგილზე განიხილება ყველა ინოვაცია, პროდუქტი და მომსახურება ვაჭრობის ნებისმიერ სფეროში. გამოფენაში მონაწილეობენ კომპანიები მწვანე ასორტიმენტის პროდუქციის მთელი ჯაჭვიდან - გლობალური მოთამაშეებიდან მცირე და საშუალო კომპანიებამდე.

DWV საშუალებას აძლევს კომპანიებს უშუალოდ მიიღონ კონსულტაცია და მხარდაჭერა. შესაბამისად, გეძლევათ შანსი მონაწილეობა მიიღოთ გამოფენებში მსოფლიოს მასშტაბით თქვენი პროდუქტისა და მომსახურებების წარმოსაჩენად, ასევე შესყიდვებისა და კოოპერაციისთვის. ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: zaira.soloeva@dwv.ge

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წლიური ანგარიში 2018

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების, 2018 წლის ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობის სრულ მიმოხილვას, აგრეთვე აქტუალურ ინფორმაციას მისი წევრების შესახებ. აღნიშნული პუბლიკაცია ხელმისაწვდომია გერმანულ-ქართულ ენაზე და შეგიძლიათ უფასოდ ჩამოტვირთოთ [ბმულიდან](#).

